ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის ილია ჯიშკარიანის

2016 წლის ანგარიში

ილია ჯიშკარიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, უპარტიო , საკრებულოს ფრაქცია ,,თბილისელების", ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი (ჩატარებულია კომისიის 23 სხდომა, დავესწარი 18, განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 470 საკითხი, მონაწილეობა მივიღე 367 საკითხის განხილვაში) და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი .(ჩატარებულია კომისიის 11 სხდომა, განვიხილეთ 22 საკითხი). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარებული 25 სხდომიდან, დავესწარი -19. (მიღებულია 341 განკარგულება და 75 დადგენილება) ჩემი, მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე შემოსულია 175 განცხადება. ჩვენი ოფისი ფუნქციონირებს მისამართზე: ქ. წამებულის გამზირი N 46ა , ისნის რაიონის მოსახლეობას საშუალება აქვს შემხვდნენ ყოველდღე, 10^{00} -18^{00} საათებში, შაბათ-კვირის გარდა, ან გამესაუბრონ ტელეფონზე 2-27-62-62. ყოველგვარი წინასწარი ჩაწერისა და რიგის გარეშე.

სულ ოფისიდან გასულია 173 შუამდგომლობა, ისნის რაიონის გამგეობლის სახელზე -131, მათ შორის: 11- შუამდგომლობა ოპერაციის დაფინანსებაზე, 60- მკურნალობის და მედიკამენტების დაფინანსებაზე, 24 - ერთჯერადად ფინანსური დახმარების გაწევაზე, 7- გარდაცვლილის ოჯახისათვის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებაზე , 2- ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, 26 - ეზოს , საბავშვო მოედნების, ქუჩის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, სახლების სახურავებისა და შენობების, ლიფტების შერემონტება-გამაგრებაზე და სამშენებლო მასალებით დახმარებაზე. მონიტორინგის მიზნით გამოთხოვილია , სტატისტიკა გამგეობიდან შუამდგომლობების დაკმაყოფილების თაობაზე, რაზედაც მიღებული პასუხი მოკლებულია კონკრეტიკას.

ასევე გაგზავნილია შუამდგომლობები ქალაქ თბილისის მერიაში 18, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 5, იუსტიციის სამინისტროში 1, შპს ,,თბილსერვის ჯგუფ-„ში 1, შპს ,,ჰერმეს"-ში 1, შპს ,,სინათლის ქალაქ"-ში 1, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში 3, შპს ,,ყაზტრანსგაზ თბილის"-ში 1, სს ,,თელას"-ში 4, შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ"-ში 7.

რაიონის მოსახლეობის პრობლემებიდან გამოვყოფდი რამოდენიმეს: 1. წლების წინ მეტროს მშენებლების ოჯახებზე და სამხედრო მოსამსახურეებზე გადაცემული ე.წ საუწყებო

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
წარმოებულია რაოდენობა 3 ფურცელი
ინ/17628 21.10.16

სახლები რომლებიც არ არის გაფორმებული, შესაბამისად ვერ ხერხდება მათი გაზიფიცირება და ელმომარაგება. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ქალაქის თვითმმართველობასთან , ეკონომიკის და თავდაცვის სამინისტროებთან, რათა გახდეს შესაძლებელი მოსახლეობისათვის ისეთი მიწების ლეგალიზება, რომლებიც დაიკავეს ათეულობით წლის წინ, შესაბამისად საცხოვრებლების გაფორმება, მათი ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა,

2. ისნის რაიონში რაოდენობრივად უფრო მეტია ამორტიზირებული, სახლები და ქუჩები ვიდრე დედაქალაქის სხვა რაიონებში, რომელთა შეკეთება მიმდინარეობს ეტაპობრივად და შემლებისდაგვარად, ქალაქის მერიისა და რაიონის გამგეობის ძალისხმევით. არის ისეთი სახლები რომლებიც არ ექვემდებარება შერემონტებას , არსებობს ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, მაგრამ მინიჭებული აქვს ისტორიული ძეგლის სტატუსი (მეტეხის უბანში და პრეზიდენტის სასახლის მიმდებარედ) და გაძნელებულია მათზე დანგრევის ნებართვის მოპოვება, შესაბამისად ინვესტორის მოძიება და მოსახლეობის საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილება. რაც ქმნის მათი ჩამონგრევის საშიშროებას და წარმოადგენს საფრთხეს მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სიცოცხლისთვის. ასევე პრობლემურია მეტრომშენის დასახლებაში არსებული წყალსაქაჩიდან გამოსულ მილების მდგომარეობა, რომლებიც დაზიანებულია, ჟონავს წყალი, შედის მოსახლეობის ეზოებში და აზიანებს მათ სახლებს.

განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩემს მონაწილეობას იმ პრობლემის მოგვარებაში რასაც ერქვა დანგრევისპირას მისული კორპუსების გამაგრება. ქეთევან წამებულზე, ავლაბრის მეტროს უკან, მეტრომშემში, გზის მიმდებარედ საყრდენი ბეტონის კედლების გაკეთება, რომლებიც ამაგრებენ მცოცავ ნიადაგს და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს მიერ მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას. ასევე აღსანიშნავია ელიიდან ნიაბის ქუჩის გაგრძელებაზე გაკეთებული ახალი, სვანეთისუბანთან დამაკავშირებელი გზა, რომელმაც საგრძნობლად განტვირთა ცენტრალურ ქუჩებზე საცობები. ღვინის აღმართის რეაბილიტაცია განვითარების ფონდთან ერთად, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ჩვენი რაიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

3.მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას სოციალური სტატუსის შეჩერებასთან და შეფასების ახალ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რასაც ხშირად ახლავდა სოციალური აგენტების მხრიდან უხეში, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. რაც სამწუხაროდ დღემდე გრძელდება. ჩემი შუამდგომლობით მოხდა სტატუსჩამორთმეული იმ მოქალაქეების საქმეების თავიდან განხილვა და გადამოწმება, რომლებმაც წერილობით მომმართეს ოფისში.

4.გადასახედია ქალაქის ზედამხედველობის საჯარიმო პოლიტიკა. არის შემთხვევები როცა, უსახლკარო, სოციალურად დაუცველ მოქალაქეს გამოწერილი აქვს რამოდენიმე ათას ლარიანი ჯარიმა. მე ვფიქრობ ამგვარი ქმედება არაფრის მომტანია ფინანსურად, არაა გამართლებული მორალურად და საერთოდ წარმოადგენს აბსურდს.

5. მტკივნეულ საკითხად რჩება ე.წ. ხევის არსებობა მეტრომშენში, მერწმუნეთ ძალისხმევას არ ვაკლებ ამ საკითხის გადაწყვეტას და პირობას ვდებ დეპუტატობის ვადის ამოწურვამდე ამ პრობლემასაც მოვაგვარებ.

6. ვმუშაობთ სამომავლო ისეთ პროექტზე როგორიცაა, ჩვენს რაიონში საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც დააკავშირებს სამების ეკლესიას და ელიის მთაზე დღეის მდგომარეობით მშენებარე ფერიცვალების , წმინდათა წინასწარმეტყველთა მოსეს და ელიას, სახელობის ტაძარს და წმინდა დიდმოწამე ქეთევან დედოფლის სახელობის მონასტერს. რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენი რაიონის ტურისტულ პოტენციალს. შესაბამისად უნდა გაჩნდეს მეტი სამუშაო ადგილი.

ამ შედეგებით მაქვს სურვილი შევხვდე ჩემს ამომრჩევლებს ა.წ. 28 ოქტომბერს, 16.00 საათზე, ქეთევან წამებულის 29 -ის მიმდებარედ არსებულ სკვერში ფარნავაზის ძეგლთან, წარვდგე მათ წინაშე ერთგვარი ანგარიშით და ვუპასუხო მათ შეკითხვებს.

საკრებულოს მაჟორიტარი

წევრი

ილია ჯიშკარიანი